

აქციის დანართი N---

ქ. _____

_____ 2018 წელი

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთ მოცემულ „აქციის“ პირობებს:

- „აქციის“ დასახელება: "სილქ ტვ აქცია 1 თემატური 2 თვით "
- აქციის პირობები:

1. წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია"), "სილქნეტის" სპეციალური ფასის მქონე ოპტიკურ (GPON, P2P) ორმაგ შეთავაზებაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აბონენტებს საშუალება აქვთ ერთი თემატური პაკეტით ისარგებლონ სილქ ტვ მომსახურების ძირითადი სააბონენტო პაკეტის გადასახდელის ფარგლებში, 2 თვის ვადით.
2. აქციაზე რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება აქციის ძალაში შევლიდან - 2018 წლის 30 ივლისიდან 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
3. აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბონენტის აქციაში ჩართვიდან 2 თვის ვადით..
4. აქციის პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება 2019 წლის 01 მარტის ჩათვლით. აღნიშნული პერიოდის შემდეგ ინსტალაციის შემთხვევაში აბონენტი ვერ ისარგებლებს მე-7 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით.
5. აქცია ვრცელდება შემდეგ აბონენტებზე / ფიზიკურ პირებზე:
 - 5.1. ოპტიკური ორმაგი შეთავაზების პაკეტებით მოსარგებლე აბონენტები, რომლებზეც ვრცელდება ფასდაკლება ან აბონენტები, რომლებიც ტვ ან ინტერნეტის დამატებით ერთვება ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაში;
 - 5.2. აბონენტები/ მომსახურების მიღების მსურველ პირები, რომლებიც აქციის პირობებით რეგისტრაციის ვადის დაწყებამდე დარეგისტრირდნენ ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე.
6. მე-5 პუნქტით განსაზღვრულმა აბონენტებმა, იმისათვის რომ ისარგებლონ აქციის პირობებით, უნდა დააფიქსირონ სურვილი აქციის პირობებით სარგებლობაზე.
7. აბონენტები, რომლებიც აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში დარეგისტრირდებიან ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე ან უკვე სარგებლობენ აღნიშნული შეთავაზების შემდეგი პაკეტებით: თბილისის პაკეტი 1, 2, 3 და რეგიონის პაკეტი 1, შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ აქციით; აქციაში ჩართული აბონენტი მიიღებს 1 თემატურ პაკეტს 2 თვის განმავლობაში სილქ ტვ-ს ძირითადი პაკეტის სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში (აღნიშნული პირობა მოქმედებს როგორც აქციის ფარგლებში დამატებულ, ასევე აქციის გააქტიურებადე უკვე ჩართულ თემატურ პაკეტზე).
8. აბონენტის მიერ აქციის პირობებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ან აქციის მოქმედების პერიოდის (2 თვის) ამოწურვის შემდეგ, აბონენტს დაერიცხება აქციაში ჩართული თემატური პაკეტის სტანდარტული ღირებულება.
9. აქციის პირობებით რეგისტრაციის ან აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს შესაძლებლობა აქვს, უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე.

10. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება ორმაგ შეთავაზებაში ჩართული მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების შესაძლებლობა. მომსახურების აღდგენის შემდეგ გაგრძელდება მომსახურების მიწოდება შეთავაზების პირობებით, თუმცა დროებით შეჩერების პერიოდში აქციის ვადის ათვლა არ წყდება.
11. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი აქციის მოქმედების პერიოდში დაშლის ორმაგ შეთავაზებას ან გააუქმებს ორმაგ შეთავაზებაში შემავალ ერთ-ერთ მომსახურებას, ავტომატურად მოხდება აქციის გაუქმება და აქციის ფარგლებში შერჩეულ/ ჩართულ თემატურ პაკეტზე აბონენტს დაერიცხება სტანდარტული ღირებულება.
12. აბონენტს შეზღუდული აქვს აქციის ფარგლებში გააქტიურებული თემატური პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა.
13. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დარეგისტრირდება აქციაზე, აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება აქციის პირობებით;
14. თუ ახალ მისამართზე მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, აბონენტი ისარგებლებს მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობებით. ხოლო, თუ ახალ მისამართზე მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტი ვერ ისარგებლებს მე-7 და მე-8 ებ განსაზღვრული აქციის პირობებით.
15. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი რეგისტრირდება სილქ ტვ მომსახურებაზე, აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება აქციის პირობებით.
16. თუ ახალ ტექნოლოგიაზე მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე აბონენტი ისარგებლებს მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობებით. ხოლო, თუ ახალ ტექნოლოგიაზე მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტი ვერ ისარგებლებს მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობებით.

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____